

ლევან ურუშაძე

კავკასიის ხალხთა ერთობის საკითხის ისტორიისათვის

კავკასია ოდითგანვე წარმოადგენდა ერთიან, მონათესავე ტომებით (იბერიულ-კავკასიური ტომები) დასახლებულ გეოპოლიტიკურ რეგიონს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულ საისტორიო-ჟამთაღმწერლობით თხზულებათა უპირველესი კრებული „ქართლის ცხოვრება“ კავკასიის მოსახლე ტომებს მოიხსენიებს შემდეგი სახელებით: „კავკასანი“, „შვილნი კავკასისნი“, „ნათესავნი კავკასისნი“, „ყოველნი კავკასიის ნათესავნი“ და ა.შ.

ქართული და საერთოკავკასიური დიასპორის გამოჩენილმა მოღვაწეებმა 1924 წელს გერმანიაში დააფუძნეს „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ [19], რომელმაც დიდი როლი შეასრულა კავკასიის ხალხთა ერთობის იდეის სრულქმნაში. გარდა ამისა, ეს კომიტეტი გახლდათ ევროპის არარუს, საბჭოთა რუსეთის მიერ დაყმევებული ერების მოძრაობის – „პრომეთელთა მოძრაობის“, ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ათი წლის შემდეგ, 1934 წელს, ბრიუსელში შედგა ჩრდილო-კავკასიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც მიღებული იქნა კავკასიის კონფედერაციის დაარსების გეგმა. სწორედ ამ კონფერენციაზე შეიქმნა „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“, რომელიც წლების მანძილზე ეწეოდა მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას [1].

„კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ჰქონდა თავისი პერიოდული გამოცემები „კავკაზ“ და „ობედინიონნი კავკაზ“, რომლებიც 30-60-იან წლებში გამოდიოდა თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ქართულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი „კავკასია“. „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“ 30-40-იან წლებში გამოსცემდა სხვადასხვა სახის ბუკლეტებს და კრებულებს. ყველა ეს გამოცემა ამა თუ იმ კუთხით ეწეოდა კავკასიის ხალხთა ერთობის იდეის პოპულარიზაციას. ამ სფეროში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა 1935-1937 წლებში ლონდონში გამომავალი ჟურნალი „გეორგიკა“, რომლის გამომცემლები იყვნენ: სერ დენისონ როსი, ოლივერ უორდროპი, ჯონ ბედელი, პროფესორები ვ. ალენი და ე. მინსი, აგრეთვე, ჩვენი თანამემამულე, ინგლისში მოქმედი საქართველოს შემსწავლელი საისტორიო საზოგადოებისა და ხსენებული ჟურნალის რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ანდრო გუგუშვილი. იბეჭდებოდა სამეცნიერო შრომები კავკასიის ისტორიისა და

ეთნოგრაფიის, კავკასიის ხალხთა ერთობის საჭირობოროტო საკითხებზე.

„კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებს ხშირად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე ცნობილი შვეიცარიული გამოცემა „ჟურნალ დე ჟენევე“, რომლის რედაქტორი იყო ქართველი ერის დიდი მეგობარი, დოქტორი ჟან მარტენი.

სტამბოლში, 50-იან წლებში თურქულ ენაზე გამოდიოდა ყოველთვიური ჟურნალი „კავკას დერგისი“ ისმაილ ზია ბერსისის რედაქტორობით. მაგრამ ეს ჟურნალი, რომელშიც ძირითადად ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ავტორები თანამშრომლობდნენ, კავკასიის ერთობის იდეას ისლამისა და თურქეთის ინტერესების შესაბამისად განიხილავდა.

ასევე, 50-60-იან წლებში კოლორადოს უნივერსიტეტი (აშშ) უშვებდა ყოველთვიურ ჟურნალს, რომელშიც სსრკ-ის მიერ დაყმევებულ ერებს შორის მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ კავკასიის ხალხებს.

40-50-იან წლებში მიუნხენში გამოდიოდა ჟურნალი „თავისუფალი კავკასია“.

კავკასიის ძველი თუ ახალი ისტორიის, კავკასიის ხალხთა ურთიერთობების ამსახველი მნიშვნელოვანი მასალები ხშირად ქვეყნდებოდა ვიქტორ ნოზაძის მიერ პარიზში 1928 წელს დაარსებულ ჟურნალში „კავკასიონი“.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს კალისტრატე და ნინო სალიების მიერ დაფუძნებული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ („რევია დე კარტველოლოჟი“), რომელიც 40-იანი წლების შუა ხანებიდან იღებს სათავეს და დღეს განახლებული სახით გამოდის პარიზში, პროფესორ გიორგი შარაშიძის რედაქტორობით, როგორც კავკასიისა და საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის შემსწავლელი სამეცნიერო ჟურნალი რევია დე კარტველოლოჟი ე კავკასიოლოჟი“.

ბოლო ხანს კავკასიის საკითხებით დაინტერესდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დაარსდა „კავკასიის შემსწავლელი საზოგადოება“ (ჩიკაგო), რომლის ეგიდით უკვე ორჯერ ჩატარდა კავკასიის ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი კონფერენციები. კავკასიის შემსწავლელი საზოგადოება არსებობს დანიაში. შევდეთში კი გამოდის ჟურნალი „ცენტრალური აზია და კავკასია“. ჰარვარდის უნივერსიტეტთან (აშშ) არსებობს „ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი საზოგადოება“, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს კავკასიოლოგიის საკითხებს.

ამდენად, ეს მცირე ექსკურსი ნათელჰყოფს, თუ, როგორც ემიგრანტული, ისე დასავლეთის და აშშ-ის გამოცემებში და სამეცნი-

ერო-კვლევით ორგანიზაციებში, რაოდენი ყურადღება ეთმობოდა და ეთმობა კავკასიის ძველი თუ ახალი ისტორიის საკითხებს.

„... კავკასია გეოგრაფიული ერთეულია. ასე იცნობდნენ მას უხსოვარი დროიდან ანტიკური ქვეყნები... კავკასიაში დასახლებული ერები უმთავრესად მონათესავენი არიან. მათი წინაპრები უხსოვარი დროიდან გადაბმულნი იყვნენ ისტორიული აუცილებლობით. საერთო ჰქონდათ მათ ცხოვრება, ჭირი და ლბინი... კავკასიის მიწა-წყალზე ერთი კულტურა იყო.“ – ვკითხულობთ ჟურნალის „კავკასიონი“-ს მე-15 ნომერში [1].

„დღეს აღარავისთვის სადავო აღარაა, რომ საქართველო და კავკასია ერთი მთლიანობაა, როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად. როგორც ძველი, ისე ახალი ისტორია კავკასიისა ამას ღალადებს და აქედან გამომდინარეობს სათანადო დასკვნაც: აუცილებელია კავკასიის ერების მჭიდრო კავშირი“ – აღნიშნულია ეროვნული დარაზმულობის „ეთერი გიორგი“ დებულებაში.

„კავკასია გეოგრაფიულად არც რუსეთს და არც მცირე აზიას არ ეკუთვნის. ის სრულად განცალკევებული ერთეულია თავის ბუნებრივ საზღვრებში გამოკვეთილი“ – მიუთითებს „ლა რევიუ დე პრომეთე“-ს 1938 წლის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში „ჟურნალ დე ჟენევე“-ის მთავარი რედაქტორი ჟან მარტენი.

„... ერთს გვინდა ხაზი გაუუსვათ: სახელდობრ იმ ბრძნულ კავკასიურ პოლიტიკას, რომელიც დავით აღმაშენებელმა საფუძვლად დაუდო თავის აღმშენებლობას და რომელიც ასე ღრმად წვდება ისტორიული ჩარხის ტრიალს – პოლიტიკა კავკასიის ერებთან – სომხებთან და მაჰმადიანებთან – კომპრომისისა და შეთავსების.“ – დასძენს რ. არიოსი [2].

პირველი მეცნიერი, რომელმაც ხაზი გაუსვა იბერიულ-კავკასიური ერების ისტორიულ გენეზისურ უმჭიდროეს ნათესაობას, გახლდათ გამოჩენილი რუსი სწავლული პ. უსლარი (1864). შემდეგ ეს იდეა, ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე, გაიზიარეს ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო მარმა, არნოლდ ჩიქობავამ და მეცნიერების სხვა კორიფეებმა. დღეს კი ამ იდეას იზიარებს სწავლულ-კავკასიოლოგთა უდიდესი ნაწილი. ამ კუთხით ჩვენში და საზღვარგარეთ წარმოებული კვლევა-ძიებისა და საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე პრომეთეს შესახებ მითის (ძვ.წ. მე-6 ს.) ზედმიწევნით ანალიზი წარმოადგინა ზვიად გამსახურდიამ თავის ნაშრომში „საქართველოს სულიერი მისსია“ [4]. „... ზევსი..., განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და მიაჯაჭვავს პრომეთეს კავკასიის კლდეზე. რა იყო მიზეზი პრომეთეს მიჯაჭვისა კავკასიის ქედზე? მიზეზი იყო ის, რომ კორინთოში

ურთიერთს შეხვდნენ ორი კულტურის, ორი რასის წარმომადგენელი...“ – წერს ავტორი [4].

„... რაც უფრო წინ მიდიოდა კვლევა-ძიება და ახალ-ახალი გარემოება მჟღავნდებოდა, დასაწყისში მოპოვებულ დაკვირვებათა სისწორე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ქართული და კავკასიური ენების ოდინდელი თვისების არსებობა მეტყველების სხვა ნაწილების შესწავლა-ანალიზის გზით დადასტურდა.

კვლევა-ძიების დაწინაურებასთან ერთად თანდათან ირკვეოდა, რომ თავდაპირველად ქართველური და კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა. და რომ მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, დროთა განმავლობაში დაჰშორებთან ერთმანეთს...“ – აღნიშნავდა აკად. ივანე ჯავახიშვილი [17].

კავკასიის კონფედერაციის შექმნისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 1910-იანი წლების მეორე ნახევარში, კერძოდ, 1917 წელს, როდესაც შეიქმნა მთიელთა რესპუბლიკა (რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს მოიცავდა) და ე.წ. „ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი“ („ოზაკომი“, რომელიც მცირე ხნის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა შეცვალა). მაგრამ, როგორც ვიქტორ ნოზაძე მიუთითებდა: „...საქართველოს რესპუბლიკის დროს (1918-1921 ლ.უ.), მართალია, კავკასიური პოლიტიკის წარმოების ცდა არსებობდა, მაგრამ ეს ცდაც ხდებოდა არა ქართული (და საერთო-კავკასიური – ლ.უ.) ეროვნულ-პოლიტიკური შეგნების წყალობით, არამედ ინტერნაციონალურ ზრახვებზე აგებული, ხალხთა ძმობა-მეგობრობის აზრით გამოწვეული მიმართულების შედეგად. ამიტომ იყო, რომ კავკასიის სივრცეში ქართული პოლიტიკა გაბერნდა და ნაყოფი ვერ გამოიღო. სოციალურ სიბრტყეზე წარმოებული ქართული პოლიტიკა კავკასიის ფარგლებში, ცხადია, დინამიკას მოკლებული და გამოუსადეგარი იყო. საქართველოს ხელმძღვანელთა მოუმზადებლობამ კავკასიური პოლიტიკისათვის და მისი ცდის დამარცხებამ კავკასიას თავი წააგებინა და ევროპას მოსწყვიტა“ [14].

პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სერიოზულად დაინტერესდა კავკასიელ ერთობის საკითხით, გახლდათ გამოჩენილი მამულიშვილი და მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც ვერ წარმოედგინა საქართველო კავკასიელ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე და, რომელმაც მე-19–მე-20 ასწლეულთა მიჯნაზე შვეიცარიის მოდელის მაგალითზე შეიმუშავა კავკასიის თავისუფალ ხალხთა კავშირის პრინციპები [19].

მაგრამ მანამდე, სანამ ამ კონცეფციას განავითარებდა, ნიკო ნიკოლაძის აზროვნებას აშკარად ეტყობოდა დასავლეთის სოცია-

ლისტურ-ხალხოსნურ მოძღვრებათა ზეგავლენა, რაც სავსებით მართებულად შენიშნა ვიქტორ ნოზაძემ თავის წერილში „ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“ [13], სადაც ავტორი მიუთითებდა: „ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ჩვენის აზრით იდეალი უკეთესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა (ესე იგი სოციალიზმი – ვ.ნ.) ყველაზე ადრე შეიძლება მიღწეულ იქნეს რუსეთში. აი, ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ არ იქნება ცუდი საქართველოს ნაციონალური მისწრაფებანი გადაგველო გვერდზე.“

როგორც ვხედავთ, 1865 წელს ნიკო ნიკოლაძე ქართულ ეროვნულ საკითხებს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით უდგება. მას აქ მოცემული აქვს მთავარი ხაზი, რომელმაც შემდეგში საქართველო გაჰკვეთა და ქართული აზროვნება სასიკვდილოდ დაჰკოდა.“

ამდენად, ყოველივე ამის წაკითხვის შემდეგ სავსებით ნათელი ხდება, თუ თავის დროზე რატომ დაინტერესდა ნიკო ნიკოლაძის პიროვნებით პირველი ინტერნაციონალი, თუ რა იყო, გარკვეულ ეტაპზე, მასთან დიდი ილიას დაპირისპირების მიზეზი.

რაც შეეხება ნიკოლაძისეულ კონცეფციას კავკასიის თავისუფალ ხალხთა კავშირისა, იგი გაცილებით გვიანდელი პერიოდის პროდუქტია და მან მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იდეის შემდგომ სრულყოფა-განვითარებაში. თუმცა, ვფიქრობთ, ზემოთ მოხმობილმა არაჯანსაღმა იდეებმა გარკვეული დალი დაასვა ნ. ნიკოლაძის მთელ შემდგომ მოღვაწეობას.

ნიკო ნიკოლაძის მსგავსი მოსაზრება ეკუთვნის ცნობილ მოღვაწეს არჩილ ჯორჯაძეს, მაგრამ ამ ნააზრევსაც ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც პირველი თაობის სოციალ-ფედერალისტებისათვისაა დამახასიათებელი. გაზეთის „საქართველო“ 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

„ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ – ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ... ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“ [15].

კავკასიის ხალხთა ერთობის იდეაც ფედერალისტებისა და არჩილ ჯორჯაძის მიერ სწორედ იმპერიის საზღვრებში განიხილებოდა, რაც მნიშვნელოვანწილად აკნინებდა მის ქემშარიტ მნიშვნელობას. ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდში, 1900-1910-იან წლებში (1918-1919 წლებამდე), ამავე აზრის იყო სამსონ ფირცხალავაც, რომელმაც მოგვიანებით სავსებით შეიცვალა საკითხისადმი დამოკიდებულება და სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს და კავკასიის ქემშარიტი კეთილდღეობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად

რეგიონში თავისუფალი კონფედერატიული კავშირის არსებობას მიიჩნევდა.

1910 წელს გიორგი და ლეო კერესელიძეების, მიხაკო წერეთლის, პეტრე სურგულაძის და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა თაოსნობით ჟენევაშივე განახლდა 1908 წელს თბილისში, იატაკქვეშეთში, დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფის საქმიანობა და იქვე დაიწყო გაზეთის „თავისუფალი საქართველო“ გამოცემა, რომელიც თავის ფურცლებზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა კავკასიის ხალხთა ერთობის იდეის პოპულარიზაციას.

ყოველივე ამას წინ უსწრებდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

1904 წლის I აპრილს იმავე ჟენევაში გაიხსნა საზღვარგარეთ არსებული ქართული ეროვნული და რევოლუციური ძალების წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კავკასიის ხალხებთან საქართველოს დამოკიდებულების საკითხის განხილვას. აღსანიშნავია, რომ ამ ფორუმში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მამულიშვილებმა: გიორგი დეკანოზიშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, კომანდო გოგელიამ, მიხეილ (მიხაკო) წერეთელმა, ალექსანდრე (სანდრო) გაბუნიაშვილმა, ჯაჯუ ჯორჯიკიამ და სხვ.

რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა შორის კავკასიის ხალხთა საკითხს იხილავდა 1907 წლის აპრილში ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში ჩატარებული „რუსეთის რევოლუციურ პარტიათა“ კონგრესი.

1916 წელს ლოზანაში შედგა „ეროვნებათა კავშირის“ კონგრესი, რომელზეც საქართველოს წარმომადგენელთა მიხაკო წერეთელი. კონგრესმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კავკასიაში თავისუფალ ხალხთა კონფედერატიული კავშირის შექმნის იდეის განხილვას.

მოგვიანებით, 1917 წელს, კავკასიის ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ სოციალ-დემოკრატებმა იგდეს ხელთ. რუსეთის დროებითი მთავრობის მითითებით, აღნიშნულ წელს, უპირატესად ქართველი ესდეკების მოთავეობით, შეიქმნა „ოზაკომი“ („ოსობი ზაკავკასისკი კომისარიატი“). სწორედ ამ კომიტეტის, შემდეგ კი – ამიერკავკასიის სეიმის ხელთ აღმოჩნდა სადავეები კავკასიის გამგებლობისა. ესდეკები ორივე ამ ორგანოს მარტოოდენ დროებით, რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, კავკასიის რეგიონის ხელმძღვანელ ორგანოდ მიიჩნევდნენ, რათა შემდეგ კვლავ „ჩახუტებოდნენ“ „საერთო რუსულ დემოკრატიას“ [13]. ამდენად, ყოველივე ეროვნულზე ლაპარაკი, ამ შემთხვევაში, ზედმეტია.

ქართველი ესდეკების ანტიეროვნულ და ანტიკავკასიურ მოღვაწეობაზე მიუთითებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი რევაზ გაბაშვილი.

„რუსეთის დროებითმა მთავრობამ... თავისი იმპერიის სხვა და სხვა „პროვინციაში“ გაგზავნა კომისრები და ამრიგად, ჩვენც მოგვევლინა „Особый Закавказский Комиссариат“-ი (“Озаком”).

ეს იყო, ასე ვთქვათ, რუსეთისაგან დასმული ნახევრადკანონიერი მთავრობა კავკასიისა.

კავკასიის „ნამესტნიკმა“... დაიბარა ბატონი ნოე ჟორდანიას და ალექსანდრე ხატისოვი (თბილისის ქალაქის თავი – ლ.უ.) და გამოუცხადა: „რუსეთში რევოლუციას, ქვეყანა არეულია, მე მივდივარ წესიერების აღსადგენად და ვიდრე ჩამოვალ, კავკასიას თქვენ გაბარებთ და მოუაროთ“-ო. ამრიგად, კავკასიის „ბედი“... ჩააბარეს აკაკი ჩხენკელსა და ნოე ჟორდანიას. რასაკვირველია, ლამაზი თვალებისათვის და „რევოლუციონერობისათვის“ არა,... არამედ, იმიტომ, რომ ნოე ჟორდანიაც, აკაკი ჩხენკელიც და ალექსანდრე ხატისოვიც იყვნენ – „Единая, неделимая Россия“-ს უკიდურესი მომხრენი, რასაც სიტყვით, წერით, საქმით, სულითა და გულით იცავდნენ და ამტკიცებდნენ.

როცა იმავე წლის მარტში, გერმანელებმა დააჩოქეს რუსეთი და ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოაწერინეს „სამარცხვინო ზავზედ“... ხელის მოწერამდე მოიწვიეს საქართველოს და კავკასიის წარმომადგენელნი, მათი მხარეების ინტერესების დასაცავად, გეგეჭკორმა, მაშინ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოუცხადებელ კავკასიის გამოცხადებულმა მინისტრმა, დეპუტმა გააგზავნა: „რადგან კავკასია შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეადგენს“-ო... იხ. ამაზედ ვლ. ვოიტინსკის ჭკვიანური... წიგნის გვერდები 116-125, საცა ორჯერ მიწვეული ბ-ნი გეგეჭკორი უარს ეუბნება თურქებს და გერმანელებს, საქართველო კავკასიის საზღვრებზე მოსალაპარაკებლად... რადგან რუსეთის ნაწილი ვართო...“ [3].

აი, ასეთი გახლდათ ქართველ სოციალ-დემოკრატთა „ზრუნვა“ საქართველოს და კავკასიის კეთილდღეობისათვის.

იქვე რევაზ გაბაშვილი მიუთითებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე დასწრების შესახებ გერმანელებისა და თურქების ხსენებული თხოვნა მენშევიკებმა საგულდაგულოდ დაუმალეს ჭეშმარიტ ეროვნულ პოლიტიკურ ძალებს, რათა მათ არ მისცემოდათ საშუალება კავკასიის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკისა. „და ამაში, რასაკვირველია, მთავარი ჩვენი არგუმენტი და ძალა, – თვით გამარჯვებული გერმანელები იქნებოდნენ, ჩვენსავით დაინტერესებულნი კავკასიის დამოუკიდებლობით“-ო, მიუთითებს სახელოვანი მამულიშვილი.

1917 წლის მარტში შეიქმნა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირი“ და არჩეულ იქნა მისი დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი;

1917 წლის მაისში შედგა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირის“ დელეგატთა ყრილობა, რომელზეც „ჩრდილოეთ კავკასიის კავშირის მუდმივი ცენტრალური კომიტეტის“ სახით აირჩიეს ჩრდილოეთ კავკასიის ერთგვარი მთავრობა. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი აბდულ მეჯიდ ჩერმოი;

1917 წლის სექტემბერში დალესტანში (დაბა ანდისი) შედგა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირის“ დელეგატთა მორიგი ყრილობა, რომელზეც დაადგინეს რუსეთისგან გამოყოფა;

1917 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასიაც გამოეყო რუსეთს (გარეგნულად ეს ასე ჩანდა, რეალურად კი სოციალ-დემოკრატთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ისევ და ისევ ბინძურ, პრორუსულ პოლიტიკურ თამაშს, რაც ჩაიშალა 1918 წლის დამდეგს, რუსეთის ე.წ. „დამფუძნებელი კრების“ არჩევნების ჩაშლის შემდეგ);

1918 წლის 9 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის შემადგენლობით (ესეც იძულებითი აქტი გახლდათ სოციალ-დემოკრატთა მხრიდან);

1918 წლის 10 თებერვალს არჩეულ იქნა „ამიერკავკასიის სეიმი“;

1918 წლის 11 მაისს „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირმა“ გამოაცხადა მთიელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც იმთავითვე დე-იურედ სცნეს გერმანიამ და თურქეთმა.

1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა. იმის ნაცვლად, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა ჩამოყალიბებულიყო როგორც სამი რესპუბლიკის კონფედერაციული კავშირი და მჭიდრო კონტაქტები დამყარებულიყო მთიელთა რესპუბლიკასთან, იმის ნაცვლად, რომ შექმნილიყო კავკასიის ხალხთა სამხედრო-თავდაცვითი კავშირი, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ყველაფერი ილონეს, რათა დასამარებულიყო საერთოკავკასიური პოლიტიკა;

1919 წლის სექტემბერში შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს შეიხ ალი-ჰაჯი აკუშა;

1919 წლის 3 ნოემბერს დაიდო საქართველო-სომხეთის თავდაცვის ხელშეკრულება.

1920 წელს საბჭოთა რუსეთის წითელი ურდოები შეესივნ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკას და დაიპყრეს იგი;

დაბოლოს, რაც მოხდა 1921 წლის თებერვალ-მარტში, ყველას კარგად მოგვეხსენება...

ჩვენი ყურადღება მიიქცია ვიქტორ ნოზაძის წერილების სერი-
ამ „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“, კერძოდ, მეორე წერილმა
(„ბრძოლა ნავთობის გამო“) [12].

ავტორი იხილავს კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლო-
ბის დაკარგვის მიზეზებს. მისი თვალთახედვის არეში აღმოჩნდა
სან-რემოს 1920 წლის ფარული კონფერენცია, რომელშიც მონაწი-
ლეობდნენ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია. ამ ფორუმზე იხილე-
ბოდა კავშირის საკითხიც.

„კონფერენციაზე დაისვა საკითხი კავკასიაში ინგლის-სა-
ფრანგეთ-იტალიის მიერ შეერთებული ექსპედიციის გაგზავნისა...
„ნავთობის წარმოების“ უზრუნველსაყოფად. ეს საკითხი, რა საკვორ
ველია, სამხედრო კომისიას გადაეცა განსახილველად... და აქ გადა-
წყდა: მოკავშირეებს ეს საქმე არასაინტერესოდ გამოეცხადებო-
ნათ. საკითხის ასეთი გადაწყვეტა გასაკვირველი არ უნდა იყოს,
რადგან წითელი რუსეთი ამ დროს უკვე ბაქოს კართან იყო და იმავე
ხანში ბაქო მის მიერ იქნა დაპყრობილი.

ასე გადაწყდა ბედი აზერბაიჯანისა და მასთან მთელი კავკასიისა.

„ეს ბედი გადაწყვიტა ბაქოს დაცემამ“, – აღნიშნავდა ვ. ნოზაძე
[12].

საინტერესოა, რატომ უნდა გადაეწყვიტა სრულიად კავკასიის
ბედი მაინცა და მაინც ბაქოს დაცემას?

ამ კითხვაზე ავტორი თავადვე პასუხობს. იგი დასძენს, რომ
მტკნარი სიცრუე იყო ბოლშევიკთა მტკიცება იმის თაობაზე, თით-
ქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აუჯან-
ყდა საკუთარი ხალხი. ეს საფსებით გამოაშკარავდა 1922 წლის 2-5
აპრილს, მეორე და მესამე ინტერნაციონალის სხდომაზე, რომელ-
ზეც ვანდერ-ველდემ და მაკდონალდმა რუსეთს საქართველოს
დატოვება მოსთხოვეს. ამის პასუხად ბოლშევიკური რუსეთის
„დერჟიმორდა“ წარმომადგენელმა რადეკმა საფსებით ცხადად,
შეუფარავად და უტიფრად განაცხადა, რომ რუსეთისათვის უდიდე-
სი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ნავთობს და ბათუმის პორტს და
მათ ცოცხალი თავით არ დასთმობს...

გაზეთში „რუსსკი ვესტნიკ“ 1993 წელს გამოქვეყნდა ვ. ნევერო-
ვისა და ა. იგოლკინის მრავლისმეტყველი წერილი – „ნავთობი და
1905 წლის რევოლუცია“, რომელშიც აღწერილია „რუსული“, ანუ...
ბაქოს ნავთობის წარმოების ისტორიული პერიპეტიები. ნიშან-
დობლივია, რომ 1900 წელს ბაქოში მოიპოვებოდა მსოფლიოში წარ-
მოებული ნავთობის წლიური მოცულობის 50 პროცენტი...

„ნავთობის წარმოების დარგი სახელმწიფოს (რუსეთის იმპერიის
– ლ.უ.) აქტიურ მხარდაჭერას იძენდა. მთავრობამ უკან არ დაიხია

ბაქოს და ბათუმის ურთიერთდაკავშირების მიზნით სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის საჭირო მრავალმილიარდობის დანახარჯის წინაშე.“ ეს ღონისძიება დასრულებულ იქნა 121 წლის წინ – 1883 წელს. ამ დროიდან რუსული ნავთობის პროდუქცია იძენს ადრე ამერიკული კომპანიების გავლენის ქვეშ მოქცეულ უცხოეთის ბაზრებს, უკაფავს გზას ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ოკეანეთში...

„1906 წელს მხოლოდ ოთხი ქვეყანა მოიპოვებდა მსოფლიოში წარმოებული ნავთობის 90 პროცენტს: რუსეთი, შვერთებული შტატები, ავსტრია (გალიცია) და რუმინეთი“; – ვკითხულობთ რუსი ავტორების ხსენებულ წერილში [18] და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხთა ურთიერთ-პატივისცემასა და პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებულ ერთობას, თუ რის დაკარგვას ვერ ინელებდა რუსეთი.

ცნობილი ისტორიკოსი ალ. მანველიშვილი მწუხარებით მიუთითებდა, რომ 1860-იან წლებში დასავლეთის სახელმწიფოებმა, კერძოდ, ინგლისმა „ვერ შეძლეს დაფასება კავკასიის ფიზიკური ძალის. რომ ინგლისელები ოფიციალურად ჩარეულიყვნენ კავკასიის საკითხებში, უკანასკნელთათვის ძნელი არ იქნებოდა თავის დაცვა რუსეთის ბატონობისაგან... მაგრამ ინგლისსაც, შედარებით სუსტი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიაზედ, და ეგონა, მისი დაცვა საკუთარი ძალებით მოუხდებოდა“ [9].

გამორჩენილი მოღვაწე სამსონ ფირცხალავა მიუთითებდა, რომ შინაგანი და გარეშე პრობლემების მოგვარების შემთხვევაში „კავკასიელ ხალხთა ერთობა“ წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც თანასწორ-უფლებიან ერთა კავშირი, რაც მისი თქმით, „იქნება ერთადერთი, რეალური, სალი, აწინდელი ვითარების შესაფერი პოლიტიკა“ [16].

ვიქტორ ნოზაძე მიუთითებდა, რომ 1918-1921 წლებში „კავკასიის ხალხებმა ვერ შეიგნეს ის უზარმაზარი მნიშვნელობა, რომლის მატარებელი არის მათი ქვეყანა და ცალ-ცალკე, ერთიმეორისაგან განცალკევებული, საერთო მიზნებსა და მიმართულებას მოკლებული, ცალ-ცალკე იქნა რუსეთის მიერ დაპყრობილი“ [12].

„მეთვრამეტე საუკუნეში რომ ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და ჩრდილოეთკავკასიელებს ერთი მთლიანი კავშირი შეექმნათ და თავი ერთად დაეცვათ გარედან შემოსული მტრისაგან, მე-19 საუკუნე იქნებოდა არა მონობის, არამედ თავისუფლების და აღორძინების ხანა.“ – მიუთითებდა ჟან მარტენი [11].

„ქართული ნაციონალიზმის უდიდესი ნაკლი იმაში მდგომა-რეობდა, რომ ქართული ინტერესები და საქმიანობა, კავკასიის ეროვნული ინტერესები ერთმანეთს ვერ გადააბა და აქედან გარკვეული სამოქმედო პროგრამა ვერ შექმნა...“

მსოფლიო ომის მომყოლ რევოლუციას ქართული საზოგადოების ვერცერთი სექტორი ვერ შეხვდა საკმაო დარაზმულობით შეკრული... ამას ემატებოდა კავკასიის ერების დაპირისპირება, რაც უმთავრესად გარეშე სახელმწიფოს აგენტების საშუალებით იყო ჩანყობილი და ამ მოვლენების მძაფრ დაპირისპირებაში ერთხელ კიდევ გადატყდა ქართული ხმალი,“ – მიუთითებდა ცნობილი მკვლევარი ისიდორე მანწკავა და იქვე დასძენდა: „... დღევანდელი ვითარება და ხვალინდელი დღის სწორი გათვალისწინება კავკასიის ისტორიისათვის, რომელშიც განუკვეთლად შეკავშირებულია საქართველოს ეროვნული ღირსება და სასიცოცხლო ინტერესები, გადაჭრით ითხოვენ საკითხისადმი ახალი კუთხით მიდგომას... ეროვნული საკითხი უნდა გადაიჭრას არსებულ გეოპოლიტიკურ არეზე და არა განყენებული ცნებების დასაბუთებით... ქართული პოლიტიკა კავკასიის გარეშე არარაობაა. კავკასია საქართველოს გარეშე გულგამორთმეული და უხერხემლოა“ [10].

საქართველოს და კავკასიის ერთობის აუცილებლობას ადასტურებდა აშშ-ში მოღვაწე ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი, რომელიც აღნიშნავდა:

„მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის ბედი იგივეა, რაც საქართველოსი. ეს დამტკიცდა ისტორიულადაც. კავკასიის დანარჩენი ხალხები იმდენად იყვნენ ხოლმე თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო იყო ძლიერი... ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა მოითხოვს, გარეშე მტრისაგან თავის დაცვა სწარმოებდეს მთელი კავკასიის მასშტაბით. კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიც ყველა კავკასიელი ერებისა მჭიდროდ არიან გადანულნი. საერთაშორისო ურთიერთობაშიც მას (ერთიან კავკასიას – ლ.უ.) მეტი წონა ექნება. ისტორია და ტრადიციებიც მათ ფრიად აახლოებს“ [8].

ამასთან, ავტორი ყურადღებას ამახვილებდა გარეგან ფაქტორებზეც, კავკასიის ხალხთა რელიგიური სახესხვაობის საკითხზე და მიუთითებდა, რომ მათი ზედმიწევნით შესწავლის და გათვალისწინების გარეშე კავკასიის ერთობის იდეა ვერ იქნება სრულსახოვანი, ხორცშესხმა კი – რეალური. იგი გადაჭრით ილაშქრებდა ჰაიდარ ბამატის, მ.-ე რასულზადეს და სხვათა წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ ეს იდეა ისლამისათვის, თურქეთის ინტერესებისათვის დაექვემდებარებინათ. ამდენად, ცხადია, მსგავსი გაუგებრობისა და მომავალი შესაძლო ექსცესების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია კავკასიის ხალხთა რელიგიური ურთიერთმეწყნარებლობა.

1934 წლის 3 მარტს პარიზის ქართული სათვისტომოს წინაშე ვრცელი საჯარო მოხსენებით გამოვიდა ერთობის „თეთრი გიორ-

გი“ პოლიტიკური მდივანი ლეო კერესელიძე, რომელმაც მიუთითა კავკასიის ერთობის გადამწყვეტი როლის შესახებ.

ეხებოდა რა საქართველოს ხსნისა და თავისუფლების აღდგენის საკითხს, ორატორმა მიუთითა, რომ „ამ იდეალის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კავკასიის ერების თანამშრომლობით, რათა მთლიანმა კავკასიამ შესძლოს თავისი უფლების აღდგენა და საზღვრის დაცვა. მაგრამ კავკასიის ერების გაერთიანებამდე უნდა მოხდეს ქართულ ეროვნულ ძალთა გაერთიანება ანტიმარქსისტულ ნიადაგზედ“... ლ. კერესელიძე აღნიშნავდა, რომ ამისათვის საჭიროა ყველა ჭეშმარიტ ეროვნულ ძალთა გაერთიანება – შეთანხმება ორ უმთავრეს პრინციპზე დაყრდნობით: „ა) საქართველო უწინარეს ყოვლისა და ბ) რუსეთის აღიარება, როგორც ისტორიული პოლიტიკური მტრისა საქართველოსი“ [6].

რუსეთის სახელმწიფო, როგორი წყობისაც არ უნდა იყოს იგი, თავისი ბუნებით ყოველთვის იყო, არის და იქნება იმპერიალისტური. „ველიკორუსული“ და აქედან გამომდინარე, – კავკასიის ხალხებმა ის უნდა განიხილონ, როგორც ისტორიული მტერი, უნდა მოერიდონ მასთან პოლიტიკური კავშირის შეკვრას (ეკონომიკურ ურთიერთობათა დარგშიც, ჩვენი აზრით, აუცილებელია დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა.).

„... ეს უმშვენიერესი ქვეყანა ნახევრად ველური ხალხების მიერ არის დასაკუთრებული. კავკასია ესაზღვრება სპარსეთსა და მცირე აზიას. მის ამგვარ მდებარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობისათვის და ამდენად, – სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ამის შესაძლებლობა კი სავსებით ხელმიუწვდომელია იმის გამო, რომ კავკასიელი ხალხები არა მარტო სახიფათონი და თვითნება მეზობლები არიან, არამედ გაუტანელნი და ყოვლად უვარგისი მოკავშირეები (რუსეთისთვის – ლ.უ.). გამოცდილებიდან გამომდინარე, მშვიდობიანი და მეგობრული მიდგომით ამ ხალხთა სიმშვიდისკენ მოქცევა შეუძლებელია. ზემოთქმულის გათვალისწინებით, დროებითი უზენაესი მმართველობა უფლებამოსილია:

... 2. დაეყოს კავკასიის მოსახლეობა ორ ჯგუფად: მშვიდობიანად (ე.ი. მორჩილებად – ლ.უ.) და მემბოხეებად. პირველნი დატოვოს თავის საცხოვრისში და დაუმყაროს მათ რუსული წეს-წყობილება, მეორენი კი იძულებით წაასხას ცენტრალურ რუსეთში და მცირერიცხოვან ჯგუფებად განასახლოს რუსულ რაიონებში.

3. კავკასიის მინა-წყალზე გადმოსახლოს რუსი მოსახლეობა და მისცეს მას გასახლებულთა მინა-წყალი მკვიდრი მოსახლეობისა და აქციოს ეს მხარე წყნარ, აყვავებულ რუსულ ოლქად.“

ეს „ოქროს“ სიტყვები, რომლებიც „კაცთმოყვარეობითა“ და „ჰუმანიზმითა“ გამსჭვალული, ეკუთვნის დიდ დეკაბრისტსა და „დემოკრატს“, კონსტიტუცია „რუსსკაია პრავდა“-ს პროექტის ავტორს, დეკაბრისტთა „სამხრეთის საზოგადოების“ ლიდერს პაველ პესტელს და სწორედ ხსენებული „კონსტიტუციიდან“ გახლავთ ამოღებული ზემოთ მოტანილი სიტყვები. აი, როგორ „ბედნიერ კავკასიაზე“ ოცნებობდნენ „რუსული დემოკრატიის მესაძირკვლენი“, აი, როგორი ანდერძის ერთგული იყო, არის და იქნება რუსული სახელმწიფო, თუ კავკასიის ერებმა არ შეკრეს ურთიერთ-პატივისცემის და პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული მძლავრი კონფედერატიული კავშირი, მყარი ერთობა; თუ თავი არ დავანებეთ რუსეთის წინაშე უშნო და უგვანო კეკლუცობას.

თავის ვრცელ საპროგრამო წერილში „ჩვენი იდეოლოგიის პრაქტიკული დებულებანი,“ ეხებოდა რა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერთა წარმომადგენლების ცხოვრების საკითხს, ალექსანდრე მანველიშვილი მიუთითებდა: „საქართველოში დასახლებული უცხო მოდგმის ელემენტები ორ კატეგორიად შეიძლება იქნენ დანაწილებულნი: ერთნი ეკუთვნიან თვით კავკასიის ხალხებს, მეორენი მოსულნი არიან უფრო შორეული მეზობელი ერებიდან.

პირველი კატეგორიის ხალხის ჩვენში ჩამოსახლება უმთავრესად ეკუთვნის თვით ჩვენს ეროვნულ სურვილებს, ქართველ მეფეთა და ერის მეთაურთა ნებას, მეორე კატეგორიის ხალხისა კი – გარეშე დამპყრობელ ძალთა ინიციატივას, ჩვენი ეროვნული დასუსტების მიზნით“ [7].

ავტორი იქვე აღნიშნავდა, რომ მაშინ, როდესაც მეორე კატეგორიის ხალხის მიმართ საჭირო გახდება რადიკალური ზომების მიღება, პირველის მიმართ – ე.ი. კავკასიის ერთა წარმომადგენლების მიმართ, უნდა ვიყოთ ლოიალურნი და მიმტევებელნი... [7]. ეს ცხადჰყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერთობის „თეთრი გიორგი“ მესვეურნი კავკასიის ავტოქტონ ერებთან ურთიერთობას.

გამოჩენილი შვეიცარიელი მოღვაწე, ქართველი ერის დიდი მეგობარი, პროფესორი ჟან მარტენი აღნიშნავდა:

„ღრმად მრწამს, რომ კავკასია აღსდგება. ამ ჩემს რწმენას აასკეცებს ის ფაქტი, რომ კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენელნი ერთად შეთანხმებულნი მუშაობენ.

მეთვრამეტე საუკუნეში რომ ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და ჩრდილო კავკასიელებს ერთი მთლიანი კავშირი შეექმნათ და თავი ერთად დაეცვათ გარედან შემოსეული მტრებ-

ისაგან, მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა მათთვის არა მონობის, არამედ თავისუფლებისა და ალორძინების ხანა.

მეთვრამეტე საუკუნეში ანალოგიური შეცდომა დაუშვეს შვეიცარიის ხალხებმაც, და ამ შეცდომას მოჰყვა უცხო მტრის შემოჭრა. როცა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ, მათ დასძლიეს შინაური უთანხმოებანი და გაერთიანდნენ. ამ დროიდან შვეიცარია გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ბედნიერი ერი...

დღეს დაპყრობილი კავკასიის ხალხების დაკავშირება მემარჯვენე თუ მემარცხენე სახელმწიფოებთან სახიფათო იქნება მათი მომავლისათვის, რადგან ეს გამოიწვევდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების იდეოლოგიურ ხაზზედ დაშლას.

საჭიროა ამ ხიფათის თავიდან აშორება. ვიმეორებ, კავკასია კვლავ აღსდგება, და მისი მომავალი იმდენად უფრო კარგი, საიმედო, ხანგრძლივი იქნება, რამდენადაც კავკასიის ერები მტკიცედ გარდასწყვეტენ და დაადგებიან სოლიდარულ მოქმედებისა და არსებობის გზას“ [11].

თანამედროვე ქართველ მეცნიერთაგან, რომლებმაც დიდი ყურადღება დაუთმეს კავკასიელ ხალხთა ისტორიის შესწავლას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უდროოდ გარდაცვლილი შესანიშნავი ეთნოლოგი ვახტანგ ითონიშვილი [5].

დაბოლოს, ვასრულებთ რა წინამდებარე თავს, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი რიგი წანააღმდეგობებისა ჯერჯერობით შეუძლებელს ხდის კავკასიის ხალხთა ერთობას, რასაც ადასტურებს თუნდაც რეგიონში არსებული კონფლიქტები. კავკასიის ხალხები ისტორიულად მხოლოდ მაშინ აღწევდნენ ერთობას, როდესაც საქართველო აღწევდა თავისი ძლიერების ზენიტს (მაგ.: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ზეობის ხანა). მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ხერხდებოდა საქართველოს ჰეგემონიით კავკასიის ხალხთა გაერთიანება. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიას მწარედ ახსოვს ლეკიანობაც...

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამბავნი კავკასიისა. - ჟ. „კავკასიონი“, პარიზი, XV, 1971.
2. რ. არიოსი, ჯვაროსანთა დროიდან.- ჟ. „კავკასიონი“, პარიზი, წიგნი მესამე, 1929.
3. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, მიუნხენი, 1959.
4. ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1990.
5. ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002.
6. ლ. კერესელიძე, ჩვენი იდეოლოგიის ზოგიერთი მხარეები.- გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, № 74-75, 1934.
7. ალ. მანველიშვილი, ჩვენი იდეოლოგიის პრაქტიკული დებულებანი.- გაზ. „მომავალი“, პარიზი, № 7, 1935.
8. ალ. მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938.
9. ალ. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველო (1801-1951), ტ. I, პარიზი, 1951.
10. ი. მანწკავა, ჩვენი ხაზი (წერილი მეორე).- ჟ. „ორნატი“, პარიზი, ნაკვ. 3, 1934.
11. ჟ. მარტენი, კავკასია.- ჟ. „სამშობლო“, პარიზი, № 27, 1939.
12. ვ. ნოზაძე, კავკასიის გეოპოლიტიკისათვის.- გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, № 56, 1930.
13. ვ. ნოზაძე, ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი.- ჟ. „ორნატი“, პარიზი, ნაკვ.3, 1934.
14. ვ. ნოზაძე, ევროპა და საქართველო.- გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, № 98, 1936.
15. გაზ. „საქართველო“, პარიზი, № 1, 1903.
16. ს. ფირცხალავა, ამბავთა და საქმეთა მოლოდინში, პარიზი, 1935.
17. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937.
18. В. Неверов, А. Иголкин, Нефть и революция 1905 года.- газ. “Русский вестник”, Москва, № 16, 1993.
19. Ж. “Объединенный Кавказ”, Мюнхен, № 1-3, 1954.

Levan Z. Urushadze

About the history of the question of unity of the Caucasian peoples

Summary

On the base of the emigrant periodical issues (“Kavkasioni”, “Obyedinenni Kavkaz”, “Tetri Giorgi”, “Ornati”, “Damoukidebeli Sakartvelo”, “Samsbloblo”, “Momavali”, “Sakartvelo”) and the works of the Georgian emigrant authors (Alexandre Manvelishvili, Revaz Gabashvili, Samson Pirtskhalava, Leo Kereselidze, Isidore Mantskava and Victor Nozadze) there are presented the questions of the history of the idea of unity of the Caucasian autochthonic peoples (nations) and the importance of this idea for the development of the region from the standpoint of the representatives of the Georgian political emigration. This problem always was burning for the Caucasus so far as Russia and Turkey always declared their claims on this region. If now the Turkish-Georgian relations have a more civilized character enjoying equal rights, the danger from Russia is great as before.

The history of the movement for the unity of the Caucasian peoples (nations) from the end of the XIX century to the middle of the XX century were successively presented in the Georgian emigrant literature.

Unfortunately, the historical past of the Caucasus obviously shows that the unity of the Caucasian autochthonic peoples was possible only while Georgia obtained a zenith of its power. In other cases among the Caucasian peoples always arised the conflicts and the idea of unity was not realized.